ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3796668

ნომერი: AR1571413

თარიღი : 20.01.2018

გაცემის თარიღი : 29.01.2018

გაცნობის თარიღი : 29.01.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , N 41 , (ნაკვეთი 12/026) / ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , N 41 , (ნაკვ.12/040) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ გოცირიძე პ/ნ 01017020483
- თბილისი ვ.პეტრიაშვილის ქ. N 24

ორგანიზაცია:
- შპს ნექსთ ბრენდ მარკეტინგ გე კოდი: 415096443

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათბის, აეროფოტო გადაღების და საჯარო რეესტრის საკადასტრო გეგმის მიხედვით დგინდება რომ საპროექტო კონდიციონერების მოწყობა ხორციელდება საკადასტრო საზღვრებს გარეთ და გადადის მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე, რაც დაუშვებელია. ვინაიდან შენობა-ნაგებობის ან მისი დეტალის მეორე მიწის ნაკვეთზე გადასვლას კანონი არ ითვალისწინებს (გარდა საზოგადოებრივი სივრცისა).
ყოველივე ზემოაღნშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად კონდიციონერის მოწყობასთან დაკავშირებით.
აქვე გაითვალისწინეთ: კონდიციონერების განთავსების ალტერნატიული ადგილმდებარეობის მოძებნის შემთხვევაში სამსახური ხელახლა იმსჯელებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რა დროსაც საჭიროა გაითვალისწინოთ:
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. მათი არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ- მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.